ხელშეკრულება № 06-39-01 30.03.2018

ქ.თბილისი 29.03.2018 წ.

ერთი მხრივ, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საამშენებლო ფაკულტეტის დეკანის დავით გურგენიძის სახით (შემდგომში „დამკვეთი“) და, მეორე მხრივ, სსიპ ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის რამაზ ხომერიკის სახით (შემდგომში „შემსრულებელი“, ვდებთ აღნიშნულ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 შემკვეთი ავალებს, ხოლო შემსრულებელი კისრულობს ვალდებულებას შემდეგი მომსახურების გაწევაზე:

ა) საწარმოო პრაქტიკის გასატარებლად მისადმი რწმუნებულ ჰიდრო-მეტეოროლოგიის ლაბორატორიაში მიიღოს შემკვეთის მიერ პრაქტიკაზე საამშენებლო ფაკულტეტის 40 სტუდენტი ბაკალავრიატის საგანმანათლებლო (ჰიდროლოგია, ჰიდრომეტრია) პროგრამიდან.

ბ) შემსრულებელი პრაქტიკანტებს დაუნიშნავს მენტორს და უზრუნველყოფს პრაქტიკის მაღალ დონეზე გატარებას შემკვეთის მიერ მიწოდებული პრაქტიკის სილაბუსისა და დღიურის შესაბამისად;

გ) პრაქტიკის დასრულების შემდეგ თითოეულ სტუდენტზე გასცემს ბეჭდით დამოწმებულ პრაქტიკის დღიურს;

2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1 შემსრულებელი:

2.1.1 უწევს ამ ხელშეკრულების პ.1-ით გათვალისწინებულ მომსახურებას შემსრულებელს.

2.1.2 შემსრულებელი უზრუნველყობს შემკვეთთან შეთანხმებული საწარმოო პრაქტიკის სილაბუსით გათვალისწინებული სამუშაოს მაღალ დონეზე შესრულებას;

2.2. შემკვეთი:

2.2.1 დროულად მიაწოდოს შემსრულებელს პრაქტიკაზე გასაგზავნი სტუდენტების სია და პრაქტიკის სილაბუსი.

3. შემსრულებლის მომსახურების ანაზღაურების წესი

3.1 ამ ხელშეკრულებით გაწეული მომსახურება საწარმოო პრაქტიკა განხორციელდება ანაზღაურების გარეშე, წლიური მოცულობით 125 სთ, რომელიც შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1 შემსრულებელი იღებს ვალდებულებას, ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაო შეასრულოს, ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის დღიდან სახელშეკრულებო პერიოდის განმავლობაში.

4.2 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2023 წლის სექტემბრამდე.

5. სხვა პირობები

5.1 ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შეიძლება მხარეთა შეთანხმებით.

5.2 მხარეთა პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

5.3 ყველა დავა, რომელიც წარმოიშობა მოცემულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით და მისგან გამომდინარეობს, მხარეები გადაწყვეტენ მოლაპარაკების გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში - მიმართავენ სასმართლოს.

5.4 ხელშეკრულება შედგენილია ორ იდენტურ ეგზემპლიარად და ინახება მხარეებთან. ორივე ეგზემპლიარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

6. მხარეთა მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსრულებელი:	**დამკვეთი:**
სსიპ ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი რ.ხომერიკი 0179, ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი N1, I კორპუსი ხელმოწერა: ----------	სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საამშენებლო ფაკულტეტის დეკანი დ. გურგენიძე 0175, ქ. თბილისი, მ.კოსტავას N72, კორპ. N1 ხელმოწერა: ----------